საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ინგა სეხნიაშვილი– კოლეგიის თავმჯდომარე

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის წევრი

ირაკლი კორძახია – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორები – ადვოკატი ე. შ. /სიითი № ..../; ს. გ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 22.02.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №016/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. ნ.-ის მიმართ /სიითი № .....

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ნ.-ისთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. საჩივრის ავტორის პოზიცია:

1.1 2018 წლის 02 თებერვალს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს ადვოკატმა ე. შ.-მ /სიითი № ..../ და ს. გ.-მ და მოითხოვეს ადვოკატ მ. ნ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორთა განმარტებით, 2018 წლის 17 იანვარს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში გაიმართა მოქალაქე შ. დ.-ის საჩივრის განხილვა, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა და საქართველოს მთავარი პროკურატურის წინააღმდეგ. სასჯელაღსრულების სამინისტროს

წარმოადგენდნენ ე. შ. და ს. გ.. ამ საქმეზე სასამართლოში პროცესის მიმდინარეობის დროს, შ. დ.-ის წარმომადგენელმა, ადვოკატმა მ. ნ.-მ მათ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, კერძოდ, პროცესის მიმდინარეობისას სასამართლოს განუცხადა, რომ ე. შ. ,,ეჯღანებოდა", რაზეც მოსამართლეებმა უპასუხეს, რომ არაფერი დაუნახავთ. ამის შემდეგ ადვოკატმა მ. ნ.-მ ე. შ.-ს არაკომპეტენტური უწოდა. მომჩივანის განმცხადებით, ეს დასტურდება 2018 წლის 17 იანვრის სხდომის ოქმის ჩანაწერით.

1.3 საჩივრის ავტორთა მითითებით, ადვოკატმა მ. ნ.-მ განაგრძო ე. შ.-სათვის სიტყვიერი შურაცხყოფის მიყენება, ეძახდა „ძუნძგლიანსა" და „ბინძურს", მ. ნ. განმარტავდა, რომ ე. შ. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ცუდად ეპყრობოდა მსჯავდრებულებს, რის გამოც უფლება არ ჰქონდა გამოსულიყო პროცესებზე.

1.4 საჩივრის ავტორთა განცხადებით, პროცესის დასრულების შემდეგ, ს. გ.ს ადვოკატმა მ. ნ.-მ ყოველგვარი მიზეზის გარეშე რამდენჯერმე შეაგინა და „ნაბოზარი" უწოდა, ხოლო დარბაზიდან გასვლისას შეაფურთხა.

1.5 საჩივრის ავტორთა განმარტებით, ამ ფაქტების შემდეგ, ადვოკატმა მ. ნ.-მ მიმართა ინტერნეტპორტალ „....ge"-ს და გამოაქვეყნა შემდეგი შინაარსის სტატია: „ამ ქალბატონის კისერზე პატიმრების წინაშე ჩადენილი უამრავი ცოდვაა". სტატიით ადვოკატი ე. შ.-ს ცილს სწამებს და ბრალს სდებს პატიმრებთან მიმართებაში განხორციელებულ ძალადობრივ ქმედებებში და უთითებს, რომ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში დღესაც მუშაობენ ის ადამიანები, რომლებიც ამ დაწესებულებაში ატარებდნენ მკაცრ სისხლისსამართლებრივ პოლიტიკას, რომლის იდეოლოგიაც ს. იყო. ერთ-ერთი ასეთი გახლდათ იურისტი ე. შ.. მის კისერზე პატიმრების წინაშე ჩადენილი უამრავი ცოდვაა. ეს ქალბატონი ყველა ღონეს ხმარობდა, რომ ავადმყოფ პატიმრებს არ ჩატარებოდათ სათანადო მკურნალობა, რის გამოც არაერთხელ დადგა ფატალური შედეგი".

1.6 საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადვოკატ მ. ნ.-ს მაგალითად მოჰყავს ყოფილი მსჯავრდებულის დ. ყ.-ის საქმე. მაშინ როცა საჩივრის ავტორთა მითითებით, ყ. -ის მკურნალობასთან დაკავშირებული საკითხებს განხილვაში ე. შ. ჩართული არ ყოფილა, მსგავსი საკითხების რეგულირება მის კომპეტენციაში არ შედის. მომჩივანთა განმარტებით, მ. ნ. ამ გზით ცდილობდა პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ ავადმყოფ პატიმართა ოჯახის წევრების გაღიზიანებასა და ე. შ.-ს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნას.

1.7 მომჩივნები ასევე აზუსტებენ, რომ ნ. -ს დ. ყ.-ის მკურნალობის ჩატარებისა და საავადმყოფოში გადაყვანის მოთხოვნით სარჩელები წარდგენილი აქვს სასამართლოში 2010-2011 წლებში სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს წინააღმდეგ. ხსენებული საქმეების განხილვისას სასამართლოში სამინისტროს წარმოადგენდნენ სამინისტროს იურისტები, ხოლო სასჯელაღსრულების დეპარტამენტის იურისტები არასდროს არ მონაწილეობდნენ სამედიცინო მომსახურებაზე სარჩელის სასამართლოში განხილვისას, აღნიშნულ წლებში კი ე. შ. წარმოადგენდა მხოლოდ სასჯელაღსრულების დეპარტამენტს.

1.8 მომჩივანთა განმარტებით, ნ. ის მიერ განხორციელებული ქმედებები ადვოკატის პროფესიისათვის შეუფერებელია და ჩრდილს აყენებს მთლიანად ადვოკატთა კორპუსს.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა მ. ნ.-მ 2018 წლის 28 თებერვალს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ ე. შ.-სა და ს. გ.-ის საჩივარში მითითებულ გარემოებებს მისი შეურაცხმყოფელი და არასერიოზული ხასიათის გამო არ ეთანხმება. რაც შეეხება ე. შ.-ს მხრიდან ,,დაჯღანვის" ფაქტს რეალურად ქონდა ადგილი, რისთვისაც სასამართლოს რეაგირებისთვის მიმართა და სხდომის თავმჯდომარემ კი განუცხადა, რომ მას არაფერი დაუნახავს.

2.2 ადვოკატი ასევე განმარტავს, რომ მის მიერ გაკეთებული მიმართვა შ. -ს არაკომპეტენტურობის შესახებ კორექტულია და მასში არაფერი არაა შეურაცხმყოფელი. რაც შეეხება ტერმინებს „ძუნძგლიანი" და „ბინძური" - ასეთი ტერმინები მის ლექსიკაში საერთოდ არ არის და საჩივარშიც სინამდვილესთან შეუსაბამო ბევრი მოგონილი გარემოებაა მითითებული.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი მ. ნ. არის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი № .... /, სპეციალიზაცია - საერთო სამართალი. ადვოკატს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრობა არ აქვს შეჩერებული, ასევე იგი არ არის გარიცხული სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან."

3.2 ადვოკატმა ე. შ.-მ და ს. გ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს 2018 წლის 22 თებერვალს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2017 წლის იანვარში. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. ნ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორთა პრეტენზია ადვოკატის მიმართ გამოიხატა შემდეგში: სასამართლოში პროცესის მიმდინარეობის დროს, პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატმა მ. ნ.-მ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ე. შ.-სა და ს. გ.ს. კერძოდ, პროცესის მიმდინარეობისას სასამართლოს განუცხადა, რომ ე. შ. ეჯღანებოდა, ხოლო პროცესის

დასრულების შემდეგ ეძახდა „ძუნძგლიანსა“ და „ბინძურს“, ხოლო ს. გ.ს პროცესის დასრულების შემდეგ, ყოველგვარი მიზეზის გარეშე, რამდენჯერმე შეაგინა და „ნაბოზარი“ უწოდა, ხოლო დარბაზიდან გასვლისას შეაფურთხა.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ მ. ნ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 აპეკ მე-7 მუხლი: ,,ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები.“

5.2.2 აპეკ მე-10.1 მუხლის,,ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას.“

5.2.3 აპეკ მე-9.4 მუხლის: „ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას.“

5.3 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში R.S and Z v Switzerland (განაცხადი N10414/83, 1984 წლის 01 ოქტომბრის გადაწყვეტილება) აღნიშნა: „პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა.“

5.4 კოლეგიალობის პრინციპთან დაკავშირებით ეთიკის კომისიამ 2015 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე N037/13 განმარტა, რომ ,,ადვოკატის მიერ კოლეგიალობის პრინციპის დაცვის ვალდებულება გულისხმობს კოლეგებისადმი ღირსეული დამოკიდებულების არსებობასა და პატივისცემას პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს ადვოკატთან საერთო კორპორატიული ინტერესებიდან იზრუნონ ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისათვის, რაც მოიცავს ადვოკატის ვალდებულებას შეინარჩუნოს და დაიცვას პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას. ადვოკატის მიერ სხვა ადვოკატის მისამართით გამოთქმული ისეთი განცხადებები, რომელიც ლახავს ადვოკატის როგორც პიროვნულ, ასევე საქმიან რეპუტაციას, პატივსა და ღირსებას, წარმოადგენს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა დარღვევას.“

5.5 აპეკ-ის 9.4 მუხლი ავალდებულებს ადვოკატს, რომ ასევე პატივისცემა გამოიჩინოს პროცესის სხვა მონაწილეების მიმართ. აღნიშნული ვალდებულება არ მოქმედებს მხოლოდ სასამართლო პროცესის განმავლობაში, ის ვრცელდება ნებისმიერ კომუნიკაციაზე ადვოკატსა და ამ ვალდებულების ადრესატს შორის.

5.6 საპროცესო კოლეგია მხარეთა პოზიციებზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ 2018 წლის 17 იანვარს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში გაიმართა მოქალაქე შ. დ.-ის საჩივრის განხილვა, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა და საქართველოს მთავარი პროკურატურის წინააღმდეგ. შ. დ.-ის ინტერესებს პროცესზე იცავდა ადვოკატი მ. ნ..

5.7 მხარეთა შორის სადავოა ფაქტი, 2018 წლის 17 იანვარს ჩატარებული სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ უწოდა თუ არა ადვოკატმა მ. ნ.-მ განმცხადებელ ე. შ.-ს „ძუნძგლიანი“ და „ბინძური“, ასევე სადავოა საჩივრის ავტორთა მიერ მითითებული ფაქტი, რომ ადვოკატმა მ. ნ.-მ, ს. გ.ს პროცესის დასრულების შემდეგ, ყოველგვარი მიზეზის გარეშე, რამდენჯერმე შეაგინა და „ნაბოზარი“ უწოდა, ხოლო დარბაზიდან გასვლისას შეაფურთხა.

5.8 საპროცესო კოლეგია ეყრდნობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2ბ/XXX-11, რომლის მიხედვით ,,მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს.“ შესაბამისად, ვინაიდან ადვოკატი მ. ნ. მის მიერ მომჩივანთათვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს სადავოდ ხდის, მოპასუხე ადვოკატის მიერ საჩივრის ავტორთათვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტის მტკიცების ტვირთი აკისრია საჩივრის ავტორებს - ადვოკატ ე. შ.-სა და პროცესის მონაწილე ს. გ.ს.

5.9 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა საქმეში არსებულ სადავო გარემოებებზე და აღნიშნა, რომ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-16 მუხლის მიხედვით „დისციპლინური წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები, განაცხადონ აცილებები, წარადგინონ მტკიცებულებები, ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით, მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე“, ხოლო ამავე დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები“. საპროცესო კოლეგია გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს მხარეთა პოზიციებიდან და მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე.

5.10 კოლეგიის შეფასებით, ამ შემთხვევაში ერთმანეთს უპირისპირდება ორი მტკიცებულება, ადვოკატის და განმცხადებლის განმარტება. ზოგადი კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, სხვა თანაბარ გარემოებებში ეს შეიძლება ვარაუდის საფუძველს ქმნიდეს, რომ დარღვევა მოხდა, მაგრამ ორი თანაბარი წონის მტკიცებულება არ არის საკმარისი დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტისთვის. ამისთვის უნდა წარმოდგენილი იყოს დამატებითი მტკიცებულება. სწორედ ამიტომ საპროცესო კოლეგიამ მისცა შესაძლებლობა განმცხადებლებს წარმოედგინათ მოწმეები, და გამოეთხოვათ აუდიო ჩანაწერი. არსებული დისციპლინური წარმოება, განსხვავებით მსოფლიოში არსებული გამოცდილებისგან, განმცხადებლის აქტიურ როლს ითვალისწინებს, საპროცესო კოლეგიას მხოლოდ დამხმარე როლი აქვს მტკიცებულებების მოპოვებაში. ამ შემთხვევაში კოლეგიამ სრულად მისცა განმცხადებლებს შესაძლებლობა, მოეპოვებინათ მათ მიერ მითითებული ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებები. რადგან დისციპლინური წარმოება ადმინისტრაციული წარმოების სტანდარტით ხორციელდება, განხილვის ეტაპზე

შეჯიბრებითი პროცესის პირობებში არ არის საკმარისი მხოლოდ ერთი მტკიცებულების მეორეზე მცირე გადაწონვა. საჭიროა, რომ იყოს ცხადი და დამაჯერებელი მტკიცებულება ან მათი ერთობლიობა, რომელიც სადავო ფაქტს დაადგენდა, იმ პირობებში, როდესაც გამომრიცხველი დამაჯერებელი მტკიცებულება არ იქნა წარმოდგენილი.

5.11 სამწუხაროდ სასამართლოს მიერ ეთიკის კომისიისათვის მოწოდებული, 2018 წლის 17 იანვრის, სასამართლოს სხდომის დასრულების შემდეგ, N14 სხდომის დარბაზში არსებული მდგომარეობის ამსახველი ვიდეოჩანაწერი მხოლოდ ფრაგმენტულია და სრულიად არ ასახავს დროის იმ მონაკვეთს, როდესაც მხარეები დარბაზში იმყოფებოდნენ. მაგრამ კოლეგია იძულებულია იმსჯელოს წარმოდგენილი ჩანაწერით, რომელზეც არ ფიქსირდება ადვოკატ მ. ნ.-ის მხრიდან განმცხადებლების მიერ მითითებული ფრაზების წარმოთქმა. შედეგად კოლეგიას ვერ შეექმნა დასაბუთებული ვარაუდი, რომ ადვოკატმა საერთოდ წარმოთქვა მითითებული სიტყვები.

5.12 კოლეგია განმარტავს, რომ იმ შემთხვევაში თუ განმაცხადებელი მოიპოვებს დამატებით მტკიცებულებებს, ვიდეო ჩანაწერის სრული სახით, ან წარმოადგენს დამატებითი მოწმეთა ჩვენებებს, მას აქვს უფლება განმეორებით მიმართოს ეთიკის კომისიას კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში.

5.13 კოლეგიამ შეაფასა საჩივრის ავტორის პრეტენზია, ადვოკატ მ. ნ.-ის ავტორობით ინტერნეტპორტალ „….ge“-ზე გამოქვეყნებული სტატიის შინაარსიდან გამომდინარე, კოლეგიალობის პრინციპის სავარაუდო დარღვევის კუთხით.

5.14 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (საქმე№11/6/561,568; 2016 წლის 30 სექტემბერის გადაწყვეტილება) განმარტა, რომ „თავისუფალი სიტყვა იმით ფასობს, ანუ სწორედ იმაში გამოიხატება სიტყვის თავისუფლება, რომ ის მოიცავს არა მხოლოდ ისეთ მოსაზრებებს თუ გამონათქვამებს, რომლებიც ყველასათვის მისაღებია, დადებითად აღიქმება, მთლიანად საზოგადოების ან თუნდაც მისი დიდი ნაწილის, უმრავლესობის აზრს და გემოვნებას ეხმიანება, არ ითვლება საჩოთიროდ, არამედ მოიცავს ისეთ იდეებს, აზრებს თუ გამონათქვამებსაც, რომლებიც მიუღებელია ხელისუფლებისთვის, საზოგადოების ნაწილისთვის თუ ცალკეული ადამიანებისთვის, შოკის მომგვრელია, რომელმაც შეიძლება აღაშფოთოს საზოგადოება, ადამიანები, წყენაც კი მიაყენოს მათ, გამოიწვიოს საზოგადოებაში ვნებათა ღელვა, ასევე იგი მოიცავს კრიტიკას და სარკაზმსაც. ასეთია ტოლერანტობის, პლურალიზმის, შემწყნარებლობის მოთხოვნები, რომლებიც დემოკრატიის საზრდოობისთვის შეუცვლელი წყაროა“.

5.15 ეთიკის კომისიამ 2018 წლის 01 ნოემბრის N086/18 გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ ,,ადვოკატს აქვს განსაკუთრებული ვალდებულებები კოლეგების მიმართ, მათ შორის არ შელახოს მათი პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, არ დააზიანოს კოლეგის კლიენტის კანონიერი უფლებები, არ მიმართოს არასათანადო რეკლამას და დაიცვას კოლეგიალობის პრინციპთან დაკავშირებული სხვა პროფესიული ვალდებულებები. თუ კოლეგის ღირსების შელახვის აკრძალვა ნეგატიურია, პატივისცემის ვალდებულება პოზიტიურია, რაც დამატებით ვალდებულებებს აკისრებს ადვოკატს, კერძოდ, კოლეგებთან

კომუნიკაციაში და მოქმედებებში, უნდა სჩანდეს ურთიერთპატივისცემა, ხოლო ნებისმიერი საპროცესო დაპირისპირება, თუნდაც კოლეგის პოზიციის მკაცრი კრიტიკა არ უნდა შეეხოს ისეთ საკითხებს, რომლებიც ადვოკატის პროფესიისადმი პატივისცემას ეჭვქვეშ დააყენებს ან შელახავს კოლეგის ღირსებას. პატივისცემის ვალდებულებაში პიროვნული შემადგენელი მეორეხარისხოვანია და ის გამომდინარეობს ადვოკატის პროფესიისადმი ნდობის დაცვის და გამყარების აუცილებლობიდან, რაც საბოლოოდ მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესიდან გამომდინარეობს."

5.16 საქართველოს კონსტიტუციის მე-19.1 მუხლის მიხედვით „ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის...თავისუფლება", ხოლო 24.1 მუხლის მიხედვით „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით". აღნიშნული უფლება არ არის აბსოლუტური და მე-19.3 და 24.4 მუხლების მიხედვით შეიძლება შეიზღუდოს, თუ ის ლახავს სხვათა უფლებებს. შესაბამისად, ადვოკატებს უფლება აქვთ ისარგებლონ ამ უფლებით და გამოთქვან აზრი, თუმცა მათ უნდა დაიცვან სხვათა ღირსება და არ შეზღუდონ სხვათა უფლებები.

5.17 ამ ეტაპზე საპროცესო კოლეგიის მიერ შესაფასებელია, დაარღვია თუ არა კოლეგიალობის პრინციპი ადვოკატმა მ. ნ.-მ ადვოკატ ე. შ.-ს მიმართ, კერძოდ, გამოქვეყნებული სტატიით შელახა თუ არა მისი, როგორც ადვოკატის ღირსება და გამოიჩინა თუ არა მის მიმართ უპატივცემლობა.

5.18 საპროცესო კოლეგიას გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ფარგლებზე მსჯელობისას ეყრდნობა ევროსასამართლოს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას. არსებობს ეჭვი აზრისა და ფაქტის გამიჯვნასთან დაკავშირებით, აღნიშნული საკითხი უნდა გადაწყდეს გავრცელებული ინფორმაციისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ (2018 წლის 17 იანვრის სუსგ № ას-790-739-2017).

5.19 ევროპული სასამართლო აღნიშნავს, საზოგადოების ინტერესის სფეროში მყოფ საკითხზე მიმდინარე დებატების პროცესში, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობის დადგენისას სახელმწიფოთათვის მინიჭებული თავისუფალი შეფასების ფარგლები [margin of appreciation] განსაკუთრებით ვიწროა) (*Floquet and Esménard v. France*, no. 29064/08, 10 January 2002; *July and SARL Libération* judgment (no. 20893/03, ECHR 2008; *Morice v. France [GC], no. 29369/10, § 153, 23 April 2015).* სუსგ 2015 წლის 30 სექტემბრის № ას-1052-1007-2014 მოცემულია მსჯელობა, რომ ვინაიდან ცნობები გავრცელებულია იმ საკითხის განხილვისას, რომლის მიმართაც არსებობს საზოგადობის მაღალი ინტერესი, სასამართლო იმ შემთხვევაში იყენებს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას, თუ არ არსებობს არანაირი ეჭვი ცნობებისათვის ფაქტის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით. სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებისათვის მხოლოდ ცილისმწამებლური განცხადების გავრცელების ფაქტის დადგენა არ არის საკმარისი. გამოხატვის შეზღუდვის აუცილებლობის ხასიათი განისაზღვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული სტანდარტით. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, შეზღუდვა უნდა წარმოადგენდეს მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას.

გამოხატვის შეზღუდვის საკითხის გადაწყვეტისას წარმოიშობა კერძო და საჯარო ინტერესების დაბალანსების პრობლემა.

5.20 საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. ნ.-ის მიერ სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები სარგებლობენ სამართლებრივი დაცვით, რადგან სტატიის შინაარსი შეიცავს შეფასებით მსჯელობას, ადვოკატ მ. ნ.-ის მოსაზრებებს საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხზე. ადვოკატს მიზანს წარმოადგენდა კლიენტის ინტერესის დაცვა და არა ე. შ.-ს, როგორც ადვოკატის, პროფესიული ღირსების შელახვა. შესაბამისად, საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, ადვოკატ მ. ნ.-ის მიერ კოლეგიალობის პრინციპის დარღვევა არ დგინდება.

5.21 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის 32–ე და 33–ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №016/18 ადვოკატ მ. ნ.-ის მიმართ, /სიითი N..../, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ირაკლი კორძახია/